

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

სახლი ბუღვარში

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შინაარსი:

1. სრული შემოსავლების ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს "სახლი ბულვარში"

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

		31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	4	3 839 557	5 079 150
სხვა შემოსავლები		11 361	7 653
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(77 139)	(1 644 864)
მარაგის შეძენა		(106 741)	(109 265)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(469 852)	(417 873)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(596 046.61)	(847 085.25)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	5	(734 306)	(724 346)
საგადასახადო ხარჯი		(154 826)	(154 826)
სხვა ხარჯი	6	(4 058)	(1 562)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		1 707 949	1 186 983
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(299 718)	(94 045)
ფინანსური ხარჯი		(312 687)	(389 223)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		1 095 544	703 715
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		1 095 544	703 715

დირექტორი

ირაკლი კვერდელიძე

მთ. ბუღალტერი

გიორგი ცენტერაძე

შპს "სახლი ბულვარში"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	21 111 760	21 100 890
არამატერიალური აქტივები	8	4 518	1 802
სულ გრძელვადიანი აქტივი		21 116 278	21 102 692
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	9	574 245	661 823
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10	782 690	684 902
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		33 797	43 404
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	41 923	948 353
სულ მიმდინარე აქტივები		1 432 655	2 338 482
სულ აქტივები		22 548 933	23 441 174
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		8 187 634	8 300 413
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		3 590 372	2 494 828
სულ საკუთარი კაპიტალი		11 778 006	10 795 241
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	3 164 214	5 178 786
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		6 460 000	6 460 000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9 624 214	11 638 786
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1 143 489	969 017
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		3 224	38 130
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 146 713	1 007 147
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		22 548 933	23 441 174

დირექტორი

ირაკლი კვერდელიძე

მთ. ბუღალტერი

გიორგი ცენტერაძე

შპს "სახლი ბულვარში"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2017 წაშთი	11 118 076	1 791 113	12 909 189
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(2 817 663)		(2 817 663)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		703 715	703 715
გაცემული დივიდენდი		-	-
31.12.2018 წაშთი	8 300 413	2 494 828	10 795 241
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(112 779)		(112 779)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	1 095 544	1 095 544
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2019 წაშთი	8 187 634	3 590 372	11 778 006

დირექტორი

ირაკლი კვერდელიძე

მთ. ბუღალტერი

გიორგი ცენტერაძე

შპს "სახლი ბულვარში" ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	4 290 553	5 064 339
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(852 215)	(822 953)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(359 749)	(334 299)
<i>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები</i>	3 078 589	3 907 087
გადახდილი გადასახდები	(847 745)	(678 510)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	2 230 844	3 228 577
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 230 844	3 228 577
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(672 199)	(599 061)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(112 779)	(1 320 015)
<i>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	(784 978)	(1 919 076)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	2 957 232	398 121
სესხის დაფარვა	(5 267 569)	-
პროცენტის დაფარვა	(33 725)	(1 127 647)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	4 130	50 066
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(12 364)	(45 329)
<i>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	(2 352 296)	(724 789)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(906 430)	584 713
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	948 353	363 641
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	41 923	948 353

დირექტორი

ირაკლი კვერდელიძე

მთ. ბუღალტერი

გიორგი ცენტერაძე

სააღრიცხვო პოლიტიკა, ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.

2019 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო სახლი ბულვარში 245629636, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგისტრაციის ნომერი B21004139. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ.ბათუმი, გორგილაძის 88, საწარმო დაფუძნებულია არეზიდენტი იურიდიული პირების მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა უძრავი ქონების რეალიზაცია, კომერციული ფართების ქონების იჯარით გაცემა შემოსავლის მიღების მიზნით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2017 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.1 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა ნაგებობები	-1,3 -5 %
- მანქანა დანადგარები	- 10-15%
- საოფისე აღჭურვილობა	-20-30%
- ავეჯი და მოწყობილობები	-14-20%
- სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%
- სხვა ძირითადი საშუალებები	-5-20%

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.4 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.5 იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.6 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.7 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა,

3.8 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების

გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	2019 წელი	2018 წელი
1	შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3 839 557	5 080 098
2	სხვა შემოსავალი	11 361	6 706
	ჯამი:	3 850 918	5 086 804

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	2019 წელი	2018 წელი
1	რეკლამის ხარჯი	35 357	81 646
2	საიჯარო მომსახურება	10 170	10 932
3	კომუნალური მომსახურება	369 033	351 956
4	კომუნიკაციის ხარჯი	9 062	7 637
5	დაზღვევის ხარჯი	25 245	12 623
6	სხვა მომსახურების ხარჯი	285 439	259 552
	ჯამი:	734 306	724 346

6. სხვა ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	2019 წელი	2018 წელი
1	ქველმოქმედება	0	500
2	ჯარიმები და საურავები	2337.49	701
3	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	20.53	361
4	არასაოპერაციო ზარალი	1700	-
	ჯამი:	4 058	1 562

7. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

	შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2019	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2018
1	მიწის ნაკვეთი	5 306 557	-		5 306 557
2	შენობა	19 594 609	517 511		19 077 098
3	ნაგებობები	60 469	-		60 469
4	მანქანა დანადგარები	198 525	2 119		196 406
5	ოფისის აღჭურვილობა	162 485	31 058		131 427
6	ავეჯი და სხვა ინვენტარი	224 475	52 046		172 429
7	სატრანსპორტო საშუალებები	-			-
8	იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების რემონტი	-			-
	ჯამი:	25 547 120.6	602 734	-	24 944 387

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2019	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2018
1	მიწის ნაკვეთი	-	-	-	-
2	შენობა	4 137 032	487 428		3 649 604
3	ნაგებობები	19 035	7 860		11 175
4	მანქანა დანადგარები	116 402	27 811		88 591
5	ოფისის აღჭურვილობა	80 170	29 001		51 169
6	ავეჯი და სხვა ინვენტარი	86 001	43 042		42 959
7	სატრანსპორტო საშუალებები	-			-
8	იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების რემონტი	-			-
	ჯამი:	4 438 639	595 142	-	3 843 497
	საბალანსო ღირებულება	21 108 481			21 100 890

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

8. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

	შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2019	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2018
1	სხვა არამატერიალური აქტივი	5 893	3 436	-	2 458
	ჯამი:	5 893	3 436	-	2 458

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2019	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2018
1	სხვა არამატერიალური აქტივი	1 376	720		655
	ჯამი:	1 376	720	-	655
	საბალანსო ღირებულება	4 518			1 802

9. მარაგი

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
1	ხარჯად აღიარებული მარაგი	106 741	109 265
2	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	661 823	2 306 785
3	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	574 244	661 823

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
1	სავაჭრო მოთხოვნები	746 747	678 292
2	მოთხოვნა პერსონალთან	2 533	1 649
3	გადახდილი ავანსები	35 943	6 610
	ჯამი:	785 223	686 551

11. ფულადი სახსრები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ეროვნული ვალუტა	39 036	56 082
2	ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	355	890 623
3	ნაღდი ფული სალაროში - ეროვნული ვალუტა	2 533	1 649
	ჯამი:	41 923	948 353

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
1	გრძელვადიანი სესხები	3 164 214	5 178 786
	ჯამი:	3 164 214	5 178 786

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
1	სავაჭრო ვალდებულებები	1 130 621	969 017
2	პერსონალთან სახელფასო ვალდებულება	12 868	-
3	ვალდებულება პერსონალთან	-	-
	ჯამი:	1 143 489	969 017

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 15 ნოემბერს.

დირექტორი:

ირაკლი კვერელიძე

მთ. ბუღალტერი:

გიორგი ცენტერაძე